საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

12 მარტი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №128/17

-- -- 2017 წლის 17 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 28 თებერვლის №128/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, ის გახლავთ ჟურნალისტი და ხშირად ესწრება სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო სხდომებს. საჩივარი შეეხება -- -- სა და -- -- ს შორის მიმდინარე სასამართლო დავას. საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე -- --, ხსენებული საქმის განხილვისას, რამდენიმეჯერ დაარღვია საპროცესო ნორმები.

-- -- აცხადებს, რომ -- -- ერთ-ერთ სხდომაზე დაუსვა შეკითხვა, თქვენ ვინ ბრძანდებით? -- -- მა მიუგო, რომ ის იყო ჟურნალისტი. მე თქვენ ერთ-ერთი მხარის მეუღლე მეგონეთ, განუცხადა მოსამართლემ. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლო დარბაზში

მყოფის მიმართ ასეთი ცინიკური დამოკიდებულება არ არის მოსამართლის შესაფერისი საქციელი. სინამდვილეში, -- -- კარგად იცოდა, თუ ვინ იყო მის წინაშე, უბრალოდ ყველანაირად ცდილობდა, არ დაეშვა მისი იმ სასამართლო განხილვაზე დასწრება, რომელიც ნათელი მაგალითი ხდებოდა იმისა, თუ როგორ შეიძლება მოსამართლემ „იტვირთოს“ მხარის ადვოკატის როლი.

საჩივრის ავტორის განმარტებით სასამართლოს ავტორიტეტის და სამოსამართლო ეთიკის ნორმების დაცვა ყველა მოსამართლის ვალია. მოსამართლე -- -- ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას. საჩივრის ავტორი აპირებს დაწეროს საგაზეთო სტატია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 30 მარტს -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ და სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

-- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება 2015 წლის 17 აგვისტოს გასაჩივრდა სააპელაციო წესით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- -- 2017 წლის 9 თებერვლიდან კი საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --. -- -- ის თავმჯდომარეობით ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა.

საბოლოო გადაწყვეტილება -- -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო 2017 წლის 19 ივნისს. 2017 წლის 19 ივნისის სხდომაზე, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ, მოსამართლემ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარებას მხარეები შეძლებდნენ მეორე დღესვე. საჩივრის ავტორმა, -- -- (რომელიც არ გახლდათ სასამართლო განხილვის მხარე) დაუსვა მოსამართლეს კითხვა, თუ როგორ შეძლებდა ის ამ გადაწყვეტილების შინაარსის გაცნობას. მოსამართლემ უპასუხა, რომ ამ გადაწყვეტილების გაცნობა მას შეეძლო ერთ-ერთი მხარის დახმარებით, „რომელთანაც ხელი მიუწვდებოდა“. -- -- მიუგო, რომ მისი ვინაობის გარკვევას, ჯობდა „საქმეში ჩაეხედა“ და ასეთი მოუმზადებელი არ მოსულიყო სასამართლო სხდომაზე. ამის შემდეგ, მოსამართლემ მოუწოდა საჩივრის ავტორს შეეწყვიტა სასამართლოსათვის შეურაცხყოფის მიყენება და დაეტოვებინა დარბაზი. სასამართლო სხდომა უკვე დასრულებული იყო და შესაბამისად, -- -- დატოვა სასამართლო დარბაზი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მოსამართლე -- -- მხრიდან, მისადმი ცინიკური დამოკიდებულების და საქმის მასალების არცოდნის ფაქტს. აღნიშნული გარემოებები შეიძლება შეიცავდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ნიშნებს.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ის არ არის სასამართლო დავის მონაწილე და ხსენებულ განხილვას ესწრებოდა ნებაყოფლობით. შესაბამისად, თავად საჩივრის ავტორი არ იყო გაცნობილი საქმის მასალებს სათანადოდ და უშუალოდ არ იღებდა მონაწილეობას საქმის მსვლელობისას განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებში. ამდენად, მისი მხრიდან მოსამართლის მიერ საქმის მასალების ცოდნის ხარისხის შეფასება არ შეიძლება იყოს ობიექტურ გარემოებებზე დაფუძნებული მსჯელობის შედეგი. ამასთან, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი რაიმე გარემოება საქმის მასალებში არ გამოკვეთილა.

რაც შეეხება, მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტს, რომელიც ეხება მოსამართლის მიერ სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევას, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო

წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

განსახილველი სასამართლო სხდომის როგორც აუდიო, ისე ვიდეო ოქმის დეტალურად გაცნობის შედეგად, მოსამართლე -- -- მხრიდან მხარეთა ან სასამართლო დარბაზში დამსწრე პირთა, მათ შორის -- -- მიმართ რაიმე ტიპის არაეთიკურ ქმედებას ადგილი არ ქონია.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ

მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №128/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი